



დემოკრატიის კომისიის მცირე გრანტების პროგრამა

თბილისი — აშშ-ს საელჩო აცხადებს დემოკრატიის კომისიის მცირე გრანტების პროგრამის კონკურსს 2009 წლისათვის. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს არაკომერციულ, არასამთავრობო, საგანმანათლებლო და მედია ორგანიზაციებს.

დემოკრატიის კომისიის მცირე გრანტების პროგრამის ადმინისტრირებას ასორციელებს აშშ-ის საელჩოს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება. გრანტის მაქსიმალური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 24,000 აშშ დოლარს.

პროგრამის ფარგლებში პრიორიტეტი ენიჭება შემდეგ ინიციატივებს:

- **ეკონომიკური განვითარება:** ფინანსური თვითუზრუნველყოფის მიღწევის ხელშეწყობა; სამეწარმეო და პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარება.
- **სამოქალაქო ინტეგრაცია:** უმცირესობების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ინტეგრაციის ხელშეწყობა.
- **მასმედიის განვითარება:** მედია ბიზნესის სტრატეგიული განვითარება; მედიის უფლებების ადვოკატირებისა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

პროექტები მიიღება 2009 წლის 6 მარტამდე, 18:00 სთ-მდე. პროექტების განხილვა გრძელდება პროექტის შემოტანიდან 3-6 თვემდე. ვაშინგტონის სახელმწიფო დეპარტამენტის შესაბამისი ოფისი კომისიის განხილვის შემდეგ იღებს დაფინანსების საბოლოო გადაწყვეტილებას.

პროექტი შეგიძლიათ გამოგზავნოთ ფოსტით ან ჩააბაროთ აშშ-ის საელჩოს მისაღებში შემდეგ მისამართზე: აშშ-ის საელჩოს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება, ჯორჯ ბალანჩინის ქ. 11, თბილისი 0131.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა ინგლისურ-ქართული და ინგლისურ-რუსული განაცხადის ფორმები შეგიძლიათ აიღოთ აშშ-ის საელჩოს მისაღებში, ან გამოგვიგზავნოთ მოთხოვნა ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართზე: **TbilisiDemComm@state.gov**.

სრული ინფორმაცია დემოკრატიის კომისიის მცირე გრანტების პროგრამის შესახებ განთავსებულია საელჩოს ვებგვერდზე <http://georgia.usembassy.gov/resources/programs/grant-programs/democracy-commission-grant-program.html> საპროექტო განაცხადი უნდა შეივსოს მხოლოდ ინგლისურ ენაზე.

კონსულტაციისათვის დაუკავშირდით პროგრამის კოორდინატორებს: სოფიო გეგეჭკორს ტელ.: 277-601, GegechkoriS@state.gov; ან ნინო გაგუას ტელ.: 277-628, GaguaN@state.gov.